



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2011 წლის 12 იანვრის
 № 383 დადგენილებით
მოდულირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2018 წლის 2 აპრილის

№ 01-05-04/95 დადგენილებით

ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალისტი- 041252
პროფესიული საგანმათლებლო პროგრამა

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალისტი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე.

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან: 36 კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის: (საკონტაქტო საათი-525საათი;

დამოუკიდებელი-271 საათი, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 104 საათი);

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია ლითონების მხატვრული დამუშავების ძირითადი მეთოდებით მხატვრული ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების განხორციელება.

VII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	იცნობს ლითონების წნევით დამუშავების, სამსხმელო წარმოებისა და მექანიკური დამუშავების საფუძვლებს, ასევე ზოგადი ქიმიის საფუძვლებს; ლითონისაგან მხატვრული ნაკეთობების დამზადების ძირითად ხერხებს, როგორცაა: ჭედურობა, ფილიგრანი, გრავირება, ინკრუსტირება; ასევე იცნობს მხატვრული მომინაქრების ტექნოლოგიას, ზოგადი მენეჯმენტისა და მეწარმეობის საფუძვლებს; ფლობს ხაზვისა და ხატვის ელემენტარულ უნარჩვევებს. აქვს შესასრულებელი მხატვრული ნაკეთობის სამგანზომილებიანი, მოცულობითი გააზრების უნარი; აქვს მეწარმეობისა და ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და	შეუძლია კონკრეტული მხატვრული ნაკეთობის დანიშნულების მიხედვით შეარჩიოს დამუშავების ოპტიმალური ხერხი; შეიმუშაოს შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესი; შეასრულოს ნაკეთობის სქემატური ნახაზი ან მოდელი; შეარჩიოს შესაბამისი მასალა და ხელსაწყო-არალები; მოახდინოს სამუშაო ადგილის ორგანიზება; დაიცვას შრომის უსაფრთხოება. ზედამხედველობა გაუწიოს

	შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მიერ შესრულებულ მარტივ სამუშაოებს.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა, მეთოდის არჩევა და არჩეული მეთოდის უპირატესობების არგუმენტირება
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება ლითონების მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული საქმიანობას. აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები. იცავს პროფესიული ეთიკისა და მორალის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე

VIII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა	X	X		X		
მეწარმეობის საფუძვლები	X	X		X		
ლითონების მექანიკური დამუშავება	X	X	X		X	
ინფორმატიკა	X	X		X		

ზოგადი და არაორგანული ქიმია		X	X		X	
ხატვა	X	X	X		X	X
ხაზვა	X	X	X		X	X
მასალათმცოდნეობა მხატვრული ნაკეთობებისათვის	X	X			X	X
ლითონების წნევით დამუშავების საფუძვლები	X	X	X		X	
ლითონების მხატვრული დამუშავების ხერხები	X	X	X	X	X	X
მხატვრული მინანქარი	X	X	X		X	X
სამსხმელო წარმოების საფუძვლები	X	X	X		X	X

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა	
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები		
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება			
I სემესტრი									
ENGL1P7	ინგლისური ენა	5	60	-	-	-	6/2	57	125
INFORP8	მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30	-	-	-	6/2	57	125
MCHMTP4	ლითონების მექანიკური დამუშავება	2	30	-	-	-	6/2	12	50
BAENTP7	ინფორმატიკა	5	60	-	-	-	6/2	57	125
GINCHP4	ზოგადი და არაორგანული ქიმია	3	15/15	30			6/2	7	75
WAMW1P4	ლითონების მხატვრული დამუშავების ხერხები, 1 ნაწილი	8	30	-	150	-	6/2	12	200
DRW11P4	ხაზვა	3	30	-	30	-	6/2	7	75
II სემესტრი									
MTAPRP4	მასალათმცოდნეობა მხატვრული ნაკეთობებისათვის	2	30	-		-	6/2	12	75
BMTFRP4	ლითონების წნევით						6/2		

	დამუშავების საფუძვლები	5	30	15	75	-		12	125
DRWI1P4	ხატვა	6	30	-	105	-	6/2	7	150
WAMW2P4	ლითონების მხატვრული დამუშავების ხერხები, მე-2 ნაწილი	8	30	-	150	-	6/2	12	200
ARTENP4	მხატვრული მინანქარი	3	30	-	30	-	6/2	7	75
BSFNDP4	სამსხმელო წარმოების საფუძვლები	5	15	15	60	-	6/2	12	125
სულ		60	465	60	600	-	104	271	1500

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-7 კვირა I შუალედური შეფასებისათვის – 20 ქულა

მე-14 კვირა II შუალედური შეფასებისათვის – 20 ქულა

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის – 30 ქულა

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით) – 30 ქულა.

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებების ჯამში დააგროვა 21 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული).

თუ სტუდენტმა შუალედური შეფასებების ჯამში დააგროვა 51 და მეტი ქულა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი, საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტს აქვს უფლება არ გავიდეს დასკვნით გამოცდაზე.

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება:

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.
- I შუალედური გამოცდა ტარდება მეშვიდე სასწავლო კვირაში და მოიცავს პირველი ექვსი კვირის მასალას. (20-ქულა)
- II შუალედური გამოცდა ტარდება მეთოთხმეტე სასწავლო კვირაში მოიცავს შემდეგი ექვსი კვირის მასალას. 20 ქულა
- III შუალედური გამოცდა ტარდება მეთვრამეტე კვირაში და მოიცავს ბოლო სამი კვირის მასალას ან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასალას-30 ქულა.
- დასკვნითი გამოცდა -30 ქულა.

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი.

XII. სწავლების ფორმები:

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;

სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ვერბალური მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი; ლაბორატორიული მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; დისკუსია/დებატები.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინგლისური ენა	ფეტელავა სოფიკო	ინგლისური ენის მასწავლებელი
მეწარმეობის საფუძვლები	გელა ლობჯანიძე	ინჟინერ-ეკონომისტი
ლითონების მექანიკური დამუშავება	სლავა მეზონია	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ინფორმატიკა	თენგიზ მაჭარაძე	ინჟინერ-პროგრამისტი, ტექნიკურ

		მეცნიერებათა კანდიდატი
ზოგადი ქიმია	მაია ცინცაძე	ქიმიის დოქტორი
ხატვა	მამული ჯიბაშვილი	გამოყენებითი ხელოვნების მხატვარი
ხაზვა	მედეა ჯიბაშვილი	ლანდშაფტის არქიტექტორი აკადემიური დოქტორი
მასალათმცოდნეობა მხატვრული ნაკეთობებისათვის	ზურაბ ლომსაძე გელა ოთარაშვილი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მასალათმცოდნე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, მასალათმცოდნე
ლითონების წნევით დამუშავების საფუძვლები	ზურაბ ლომსაძე	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მასალათმცოდნე
ლითონების მხატვრული დამუშავების ხერხები	ზურაბ ლომსაძე მამული ჯიბაშვილი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გამოყენებითი ხელოვნების მხატვარი
მხატვრული მინანქარი	მამული ჯიბაშვილი	გამოყენებითი ხელოვნების მხატვარი
სამსხმელო წარმოების საფუძვლები	რაულ გვეტაძე	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ჩამომსხმელი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ლითონების წნევით დამუშავების მიმართულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: დანადგარ-მოწყობილობები და ინვენტარი, განთავსებული სტუ-ს მე-10 კორპუსში (თბილისი, კოსტავას ქ. 69) მე-5 სართულზე.

დაწესებულია ფლობს აგრეთვე, სასწავლო ლიტერატურას და სადემონსტრაციო მასალას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ სასწავლო კურსებს.

XV. საწარმოო სწავლება

სასწავლო პრაქტიკა ხორციელდება სტუ-ს მე-10 კორპუსში (თბილისი, კოსტავას ქ. 69) მე-2 სართულზე არსებულ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ლითონების წნევით დამუშავების მიმართულების ბაზაზე.

იხ. დანართი

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის ხელმძღვანელი

ზურაბ ლომსაძე

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მამუკა მაისურაძე

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
17 ნოემბერი 2010 წ

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მოდისფიცირებულია

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №3; 30 მარტი 2018 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ნუგზარ წერეთელი